რუსეთისგან მომავალი რისკების მართვა: გზა საქართველოსთვის მედეგობის მისაღწევად

პოლიტიკის დოკუმენტი
ნოემბერი 2023

NATO OTAN

British Embassy Tbilisi

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის დოკუმენტი
გამოცემა #39 | ნოემბერი 2023

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში და საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად. 2013 წლიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი, ასევე, GIP არის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კვლევითი ორგანიზაციების ქსელის წევრი, რომელიც ევროკომისიის მხარდაჭერით 2020 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილებისა და თბილისში დიდი ბრიტანეთის საელჩოს თანადაფინანსებით. მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, რომ ასახავს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა და დონორთა შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

კორნელი კაკაჩია, ბიძინა ლებანიძე, საღომე კანდელაკი, „რუსეთისგან მომავალი რისკების მართვა: გზა საქართველოსთვის მედეგობის მისაღწევად“, *პოლიტიკის დოკუმენტი ნომ. 39, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ნოემბერი 2023.*

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2023

საქართველო, თბილისი 0107, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

ტელ: +995 599 99 02 12

ელ. ფოსტა: info@gip.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:

www.gip.ge

ავტორების შესახებ

კორნელი კაკაჩია, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ჟან მონეს პროგრამის პროფესორი. ის ასევე არის კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი. კორნელი კაკაჩია იყო საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) და ღია საზოგადოების ფონდის (OSI) სტიპენდიანტი და მიწვეული მკვლევარი ჰარვარდის უნივერსიტეტის შავი ზღვის უსაფრთხოების პროგრამაში (2009-10), კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტში (2011) და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის უმაღლესი საერთაშორისო კვლევების სკოლაში. პროფესორი კაკაჩია არის წიგნის “Georgia’s Foreign Policy in the 21st Century: Challenges for a Small State” (London, New York: I.B. Tauris, 2021) თანარედაქტორი.

ბიძინა ლებანიძე, დოქტორი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) უფროსი მკვლევარი, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სლავური ენებისა და კავკასიის კვლევების ინსტიტუტი; ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. დოქტორის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებებში მას ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში მიენიჭა, ხოლო მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს ასრულებდა პედაგოგიურ და კვლევით საქმიანობას ბრემენის უნივერსიტეტში, ფრაიბურგის უნივერსიტეტში, ბერლინის ეკონომიკის და სამართლის სკოლაში, ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში და კონრად ადენაუერის ფონდში.

სალომე კანდელაკი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი. სალომე „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ უმცროსი ანალიტიკოსია. მისი ინტერესის სფეროში შედის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი აქცენტით რელიგიასა და პოლიტიკაზე, რეგიონალიზაციასა და დემოკრატიზაციაზე. მან მაგისტრის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებებში შედარებითი პოლიტიკის სპეციალობით მოიპოვა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (ბუდაპეშტი). მაგისტრის მეორე ხარისხი მას მიენიჭა საჯარო მმართველობაში გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (შპაიერი) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში.

სარჩევი

ძირითადი მიგნებები **4**

შესავალი **5**

რისკების განსაზღვრა **8**

ექსპერტთა გამოკითხვა 9

საზოგადოებრივი აზრის კვლევა 11

სტრატეგიული დოკუმენტები და სახელმწიფო ნარატივები 15

რისკის მართვა **17**

საზოგადოების ერთიანი მიდგომა ძირითადი რისკების იდენტიფიცირებისა და შემცირებისთვის 17

რუსეთთან ურთერთობების რისკის შემცირება 19

დასკვნები **21**

რეკომენდაციები **23**

ბიბლიოგრაფია **27**

ძირითადი მიგნებები

- მთავარი გლობალური, დიფუზიური და ლოკალური რისკების სიმწვავის აღქმა განსხვავდება მოსახლეობას, ექსპერტებსა და მთავრობას შორის. რისკების პრიორიტეტების შესახებ კონსესუსის არარსებობა ასუსტებს საქართველოს ფსიქოლოგიურ მედეგობას.

- საქართველოში და რეგიონში რუსეთის აგრესიული პოლიტიკა ყველაზე სერიოზულ რისკად აღიქმება. თუმცა, მოსაზრებები უფრო მეტად კომპლექსურია როდესაც საქმე რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობას ეხება.

- საქართველოს ოფიციალურ სტრატეგიულ დოკუმენტებში რუსეთი ძირითად პოლიტიკურ და უსაფრთხოების გამოწვევად განიხილება. თუმცა, რუსეთის მიმართ პოლიტიკა უფრო რბილია და მეტ ეკონომიკურ ჩართულობას გულისხმობს.

- ხედვები განსხვავდება ლოკალურ რისკებთან დაკავშირებითაც. ექსპერტების მოსაზრებით, ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური რისკებია; მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი აზრის კვლევებში ძირითად გამოწვევად სოციალურ-ეკონომიკური რისკები სახელდება.

- აღქმებს შორის არსებული განსხვავებების აღმოსაფხვრელად და საქართველოს წინაშე მდგარ გამოწვევებზე საპასუხოდ ქვეყნის ფსიქოლოგიური თავდაცვის გასაძლიერებლად, საქართველოს სჭირდება საზოგადოების ერთიანი მიდგომის დანერგვა რისკების განსასაზღვრად და მედეგობის გასაძლიერებლად.

- საზოგადოების ერთიანი მიდგომა ფოკუსირებული უნდა იყოს პოლარიზაციისა და რადიკალიზაციის დაძლევაზე და გლობალური რისკების არსისა და მათი პრევენციის სტრატეგიების შესახებ ეროვნული კონსესუსის მიღწევაზე. ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის საზოგადოება, ბიზნეს სექტორი და პოლიტიკური აქტორები რისკების შეფასებისა და მედეგობის გაძლიერების პროცესის ნაწილად და ანგარიშვალდებულად უნდა გრძნობდნენ თავს.

- უმთავრესი გლობალური რისკის - რუსეთის აგრესიული პოლიტიკის - საპასუხოდ საქართველოს სჭირდება რუსეთისგან მომდინარე რისკების მართვის ყოვლისმომცველი სტრატეგია: აუცილებელია რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება სტრატეგიული იმპორტირებული საქონლის და საექსპორტო ბაზრის კუთხით. აუცილებელია რუსული ინვესტიციების სკრინინგი და რუსეთის მავნე რბილი ძალის შეზღუდვა.

- რისკების შემცირების დღის წესრიგის ნაწილი უნდა იყოს საერთაშორისო სანქციების აღსრულება და იმის უზრუნველყოფა, რომ რუსეთთან საქართველოს ურთიერთობებმა საფრთხე არ შეუქმნას ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანების პროცესს.

შესავალი [1]

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის არაპროვოცირებულ აგრესიას და მოსკოვსა და დასავლეთს შოროს შემდგომ დაპირისპირებას გავლენა აქვს მთელს შავი ზღვის რეგიონზე, მათ შორის საქართველოზე. საქართველოსთვის, ქვეყნისთვის, რომელსაც ისტორიულად კომპლექსურ რეგიონულ დინამიკაში უწევს ნავიგაცია - უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა უკრაინის კონფლიქტისა და ახლო აღმოსავლეთის დაძაბულობის საქართველოში გადმოდინების რისკებს წარმოშობს. მიმდინარე რეგიონული კონფლიქტების განგრძობადობა საქართველოსთვის არა მხოლოდ რისკებს და გამოწვევებს ზრდის, არამედ თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრატეგიების გადაფასების აუცილებლობას წარმოშობს. ეს მოცემულობა აიძულებს თბილისს, რათა უსაფრთხოების პოლიტიკა მუდმივად ცვალებად გეოპოლიტიკურ გარემოს მოარგოს, ეფექტურად გაუმკლავდეს მზარდ გეოპოლიტიკურ რისკებს და განამტკიცოს მედეგობა გლობალური გეოპოლიტიკური ბუნდოვანების პირობებში.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი იგივე თემაზე გამოცემული პირველი პოლიტიკის დოკუმენტის გაგრძელებაა, რომელიც მოუწოდებდა საქართველოს განევითარებინა საზოგადოების ერთიან მიდგომაზე დაფუძნებული სექტორთაშორისი მედეგობის სტრატეგია (Kakachia, Lebanidze, and Kandelaki 2022). დოკუმენტში წარმოდგენილია მედეგობის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი ოთხი განზომილება (ინსტიტუციური /საკანონმდებლო, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კერძო-საჯარო) და შეთავაზებულია მოსაზრებები საქართველოში მედეგობის გაძლიერების შესაძლებლობებთან დაკავშირებით (Kakachia, Lebanidze, and Kandelaki 2022, 3). ყოვლისმომცველი ანალიზი, როგორც გლობალური, ისე დიფუზიური და ლოკალური რისკების იდენტიფიცირება და მართვა მედეგობის გაძლიერების მნიშვნელოვანი ასპექტებია. ამდენად, წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი გააანალიზებს მთავარ გლობალურ, დიფუზიურ და ლოკალურ რისკებს საქართველოსთვის და განსაზღვრავს საშუალებებს ეროვნული მედეგობის გასაძლიერებლად და რისკების უკეთ სამართავად.

პოლიტიკური კრიზისისა და გამოწვევების პერიოდში, ქვეყნის წინაშე მდგარი რისკების მრავალფეროვანი მახასიათებლების გაგება და მათი ეგზისტენციალურ საფრთხეებად გარდაქმნის პრევენცია უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ნაშრომში გამოყენებულია NATO Review - ში გამოქვეყნებული რისკის განმარტება: „რისკი არის დანაკარგის, დაზიანების ან სხვა არასასურველი შედეგის ალბათობა“ (Cocron and Lawrence 2022). რისკი „შესაძლოა იყოს წინასწარ გათვლილი ან შეფასებული, წარსულში მიღებული შედეგებისა და გარემოებების გათვალისწინებით“(Cocron and Lawrence 2022).

1. შენიშვნა: მადლობას ვუხდით მიქალ გლოზნეკს მოსაზრებებისა და ღირებული შენიშვნებისთვის.

მედეგობა განიმარტება, როგორც გლობალური და ლოკალური რისკების პრევენციისა და მათთან გამკლავების მექანიზმი. ამ კუთხით, მედეგობას ორი ძირითადი განზომილება აქვს: „bouncing back“ და „moving forward“ განზომილება. პირველი გულისხმობს კრიზისების იდენტიფიცირებას, მათზე რეაგირებასა და რეაბილიტაციას მინიმალური ზიანით; ხოლო მეორე გულისხმობს რისკის თავიდან აცილების თვით-რეგულირებადი პროცესის შექმნას მშვიდობიანობის დროს (cf. Chandler 2014, 5). ნატოს მედეგობის განმარტება ორივე განზომილებას მოიცავს:

> **მედეგობა არის ინდივიდუალური და კოლექტიური შესაძლებლობა მოემზადო, წინააღმდეგობა გაუწიო, უპასუხო და სწრაფადვე მოახერხო რეაბილიტირება შოკის ან დამაზიანებელი მოვლენების პირობებში და უზრუნველჰყო ალიანსის აქტივობების განგრძობადობა“ (NATO 2022).**

შეზღუდული სახელმწიფო და საზოგადოებრივი შესაძლებლობების პირობებში, გლობალური, დიფუზიური და ლოკალური რისკების გამართული შეფასება და ადეკვატური პრიორიტეტიზაცია ქვეყნის მედეგობის სტრატეგიის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

ნაშრომში თავდაპირველად წარმოდგენილია ქვეყნის წინაშე მდგარი გლობალური, დიფუზიური და ლოკალური რისკების ყოვლისმომცველი ანალიზი. ამისთვის, ავტორებმა გამოიყენეს ინფორმაციის შეგროვების სამი მექანიზმი: ექსპერტების გამოკითხვა, სახელმწიფო დოკუმენტების შინაარსის ანალიზი და საზოგადოებრივი აზრის კვლევების ანალიზი.

წარმოდგენილი ნაშრომის მთავარი კონტრიბუცია ყოვლისმომცველი ექსპერტთა გამოკითხვის შედეგებია, რომელმაც აჩვენა თუ როგორ აღიქვამს ძირითად რისკებს სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკოსების საექსპერტო წრე და აკადემია. საბოლოოდ, გამოკითხული იქნა შიდა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე მომუშავე 36 ქართველი ექსპერტი. ჩვენ ვაცნობიერებთ გამოკითხვის პროცესის თანმხლებ გარკვეულ შეზღუდვებს, რადგან გამოკითხულ ექსპერტთა უმრავლესობა პოლიტიკის თემებზე მომუშავე პროფესიონალები არიან და მუშაობენ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე ან უფრო ფართო შიდა პოლიტიკის დინამიკაზე. ამის მიუხედავად, რესპოდენტები სიფრთხილით იქნენ შერჩეულნი ქართული პოლიტიკის კონტექსტის ცოდნისა და პარტიულ-პოლიტიკური საკითხების მიმართ მათი ნეიტრალურობის გათვალისწინებით. გამოკითხვის შედეგების განხილვის შემდეგ, ნაშრომში წარმოდგენილია პოლიტიკის თემებზე მომუშავე პროფესიონალების, მოსახლეობისა და მთავრობის მიერ რისკების აღქმის შედარებითი ანალიზი. აღნიშნულის ანალიზი მნიშვნელოვანია იმის საჩვენებლად, თუ რამდენად ერთიანია აღქმა მთავარ აქტორებს შორის ქვეყნის წინაშე მდგარი რისკებისა და გამოწვევების შესახებ. წარმოდგენილი მოსაზრებები მიანიშნებს აღქმებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებებზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი გლობალური და ლოკალური რისკებია ქვეყნის მედეგობისა და მზადყოფნისთვის გადამწყვეტი.

მეორე ნაწილში, ექსპერტი რესპოდენტების შეფასებით ყველაზე მნიშვნელოვან რისკად რეგიონში რუსეთის ყოფნა არის წარმოდგენილი და გაანალიზებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ამ რისკთან გამკლავების საუკეთესო გზები. ამ ნაწილში ჩვენ ასევე განვიხილავთ საზოგადოებრივი აზრის კვლევებს, სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სახელმწიფოს პოლიტიკას საზოგადოებრივი განწყობების, სახელმწიფოს მიდგომისა და მზადყოფნის შესაფასებლად.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია გლობალური, დიფუზიური და ლოკალური რისკები მედეგობის ჭრილში. ეს მნიშვნელოვანი ანალიტიკური ჩარჩოა იმის დასადგენად, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფოსა და საზოგადოების მედეგობის გაძლიერება და რისკების შემცირება. აღნიშნული მიდგომა ასევე გვეხმარება გავიგოთ როგორ ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან რისკები და მედეგობა. კონკრეტულად კი, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მედეგობის გაძლიერების პროცესში საზოგადოების ერთიან მიდგომაზე წამყვან აქტორებს შორის რისკების აღქმასთან დაკავშირებული განსხვავებების შესამცირებლად. დოკუმენტი სრულდება რეკომენდაციებით საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის.

რისკების განსაზღვრა

ნაშრომი ძირითადი გლობალური და ლოკალური რისკების იდენტიფიცირების მეთოდოლოგიურ მოდელად ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტით EU-LISTCO შემუშავებულ კონცეპტუალურ ჩარჩოს იყენებს. პროექტის ფარგლებში, რა დროსაც გაანალიზდა მედეგობასთან და სახელმწიფოს „ჩავარდნასთან“ დაკავშირებული გლობალური და დიფუზიური რისკები, გამოიკვეთა ექვსი რისკის კლასტერის ტაქსონომია, რომელიც მოიცავს გლობალური რისკების ძირითად ნაწილს (Magen, Richemond-Barak, and Stav 2021; 2019; Magen and Richemond-Barak 2021):

- გეოპოლიტიკური დაპირისპირება და მასშტაბური კონფლიქტის რისკები;
- არაკონვენციური უსაფრთხოების რისკები (ჰიბრიდული ომი, ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღი, კიბერტერორიზმი)
- გარემოსთან დაკავშირებული რისკები (მათ შორის უკონტროლო ურბანიზაცია და პანდემიები);
- დემოგრაფია და უკონტროლო მიგრაციის რისკები;
- გლობალური ფინანსური და ეკონომიკური რისკები;
- ტექნოლოგიებით გამოწვეული ზიანი.

ავტორები ერთმანეთისგან განასხვავებენ გლობალურ და დიფუზიურ რისკებს. ორივე ტიპის რისკი თავისი მახასიათებლებით გლობალურია, თუმცა განმასხვავებელი ფაქტორი მათი წარმოშობის წყაროებია. გლობალური რისკები „წარმოიქმნება იდენტიფიცირებადი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან, მოცემული ქვეყნის ან რეგიონის უშუალო სამეზობლოს ფარგლებს გარეთ“. დიფუზიური რისკები „ან არ არის გეოგრაფიასთან დაკავშირებული ან თავისი არსით არატერიტორიულია, მიუხედავად იმისა, რომ მათი გავლენა ადგილმდებარეობის მიხედვით შეიძლება შეიცვალოს“ (Magen, Richemond-Barak, and Stav 2021, 8).

ზემოთ აღწერილი ექვსი რისკის კლასტერის ტაქსონომიის საფუძველზე, ჩვენ გამოვავლინეთ 20 გლობალური და დიფუზიური რისკი, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტში. თუმცა, გლობალური (და დიფუზიური) რისკები იშვიათად მოქმედებენ დამოუკიდებლად. ხშირად ისინი ურთიერთქმედებენ ქვეყნის საშინაო კონტექსტში. მათი გავლენა ხშირად იზრდება ან მცირდება ადგილობრივი რისკის ან ადგილობრივი რისკის შემცირების მექანიზმების - ისეთი როგორიცაა მაგალითად მედეგობის გაზრდის ინსტრუმენტები და არხები - არსებობის შემთხვევაში (Kakachia and Lebanidze 2020). თანამედროვე მმართველობის სისტემებისთვის დამახასიათებელ კომპლექსურობასა და მათ წინაშე მდგარ რისკებსა და საფრთხეებზე საპასუხოდ, ჩვენ შევიმუშავეთ შიდა რისკების კატეგორია და განვსაზღვრეთ მათი გამაძლიერებელი გავლენა გლობალურ და დიფუზიურ რისკებზე. საქართველოს კონტექსტში ჩვენ 12 ასეთი რისკის იდენტიფიცირება მოვახდინეთ:

- ოლიგარქია
- სახელმწიფოს მიტაცება
- ცუდი მმართველობა
- ავტორიტარიზმის/ანტი-დემოკრატიული ცვლილებების რისკი
- რადიკალიზაცია/პოლარიზაცია
- სიღარიბე
- პოლიტიკური სისტემის არასტაბილურობა
- სოციალურ-პოლიტიკური ჩავარდნა
- კორუფცია
- უმუშევრობა
- უთანასწორობა
- რელიგიური რადიკალიზმი

ექსპერტთა გამოკითხვა

კვლევის ფარგლებში, ჩვენ გამოვკითხეთ 36 ქართველი ექსპერტი სხვადასხვა სამეცნიერო სფეროდან, 2023 წელს საქართველოს წინაშე მდგარი ყველაზე მნიშვნელოვანი გლობალური, დიფუზიური და ლოკალური რისკების იდენტიფიცირებისთვის. 36 რესპოდენტიდან 20 სხვადასხვა არასამთავრობო, ანალიტიკური და კვლევით ორგანიზაციის თავდაცვისა და უსაფრთხოების დამოუკიდებელი ექსპერტები იყვნენ, 4 სახელმწიფო მოხელე სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურიდან და სამინისტროდან და 12 უნივერსიტეტის აკადემიკოსი და მეცნიერი სოციალური მეცნიერებების, კონფლიქტების კვლევის, ეკონომიკისა და იურიდიული სფეროს მიმართულებით. გამოკითხვა ჩატარდა ანონიმურად.

გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ორი ძირითადი მიგნების იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. პირველ რიგში, გლობალური და დიფუზიური რისკების კუთხით, ექსპერტებმა ერთხმად აღიარეს რუსეთთან დაკავშირებული ფაქტორები საქართველოსთვის ყველაზე დიდი რისკის შემცველად (დიაგრამა 1). პირველ ათ რისკს შორის, ხუთი რუსეთთანაა დაკავშირებული. ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე და რუსეთთან ჰიბრიდული ომი ორ ყველაზე მნიშვნელოვან გლობალური რისკად იქნა აღიარებული (დიაგრამა 1). მეორე მხრივ, გამოკითხვაში ზოგიერთი არაკონვენციური რისკი ნაკლებად მნიშვნელოვნადაა მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ არაკონვენციურ რისკებსაც აქვთ პოტენციალი საგრძნობი ზიანი მიაყენონ საქართველოს. მსგავსი რისკებია კლიმატთან დაკავშირებული რისკები, დაავადებების გავრცელება და ატომური საფრთხეები.

მეორე მხრივ, ადგილობრივი რისკების შეფასებისას, ექსპერტებმა ერთხმად შეაფასეს პოლიტიკური რისკების უფრო დიდი მნიშვნელობა სოციალურ-ეკონომიკურ რისკებთან შედარებით (დიაგრამა 2). გამოკითხვაში გამოვლენილი ტოპ ხუთი რისკიდან ყველა პოლიტიკურია: ოლიგარქია, სახელმწიფოს მიტაცება, ცუდი მმართველობა, ავტორიტარიზმი, და რადიკალიზაცია/პოლარიზაცია (დიაგრამა 2). ხოლო, სოციალურ-ეკონომიკური რისკები, მაგალითად სიღარიბე, სოციალურ-პოლიტიკური ჩავარდნა, უმუშევრობა, უფრო დაბალი მნიშვნელობის რისკებად შეფასდა (დიაგრამა 2). ეს საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგებთან მკაფიო წინააღმდეგობაში მოდის, როგორც ეს ნაშრომის შემდგომ ნაწილშია განხილული.

დიაგრამა 1: როგორ შეაფასებდით გლობალური რისკების გავლენას საქართველოზე? (0-100 შკალაზე) (ყველაზე მწვავე)



დიაგრამა 1: როგორ შეაფასებდით ლოკალური რისკების გავლენას საქართველოზე? (0-100 შკალაზე) (ყველაზე მწვავე)



საზოგადოებრივი აზრის კვლევა

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა გამოკითხვები წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტია, ჩვენ ასევე ვაცნობიერებთ ამ მიდგომის შეზღუდვებს, რადგან ის ძირითადად გამოკითხული რესპოდენტების სუბიექტურ აღქმებს ეფუძნება. გამოკითხვა არ გამოხატავს ფართო საზოგადოების განწყობებს, რადგან მხოლოდ 40-მდე რესპოდენტი გამოიკითხა, რომელთაც გააჩნიათ ექსპერტიზა თავდაცვისა და უსაფრთ-ხოების სფეროში. ამ შეზღუდვის საკომპენსაციოდ, ექსპერტთა გამოკითხვის შედეგები გავამყარეთ მათი საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზის შედეგებთან შედარებით.

ექსპერტების გამოკითხვისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების პირდაპირ შედარება რთულია, რადგან არ არსებობს პირდაპირ შედარებადი მონაცემთა ბაზები კარგი რეპუტაციის მქონე საზოგადოებრივი აზრის კვლევებში.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების ზოგადი მიმოხილვა გარკვეულ მსგავსებებს აჩვენებს, თუმცა ასევე მნიშვნელოვანი სხვაობებია ჩვენს მიერ ექსპერტების გამოკითხვის მიგნებებთან შედარებისას. როდესაც საქმე გლობალურ და დიფუზიურ რისკებს ეხება, საზოგადოებრივი აზრი ექსპერტთა აზრებს ემთხვევა. IRI-ს 2023 წლის აპრილის კვლევის მიხედვით, რესპოდენტების 87% რუსეთს „ყველაზე დიდ პოლიტიკურ საფრთხედ ასახელებს“, ხოლო 76%-ის აზრით რუსეთი საქართველოსთვის „ყველაზე დიდი ეკონომიკური საფრთხეა“ (დიაგრამა 3 და 4).

დიაგრამა 3: IRI-ს 2023 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევა: ყველაზე დიდი პოლიტიკური საფრთხეები საქართველოსთვის (IRI 2023, 47)

ჩამოთვლილი ქვეყნებიდან რომელს შეუძლია საქართველოს შეუქმნას ყველაზე დიდი პოლიტიკური საფრთხე?

(ნებადართულია რამდენიმე პასუხი)



დიაგრამა 4: IRI-ს 2023 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევა: (IRI 2023, 49)

ჩამოთვლილი ქვეყნებიდან რომელს შეუძლია საქართველოს შეუქმნას ყველაზე დიდი ეკონომიკური საფრთხე?

(ნებადართულია რამდენიმე პასუხი)



თუმცა, სურათი უფრო კომპლექსური ხდება, როდესაც მონაცემების დეტალებს ვუღრმავდებით. მაგალითად, 2023 წლის მარტისთვის, გამოკითხულთა 50% მიიჩნევდა რომ საქართველოს მკვეთრად პრო-ევროპული და პრო-დასავლური საგარეო პოლიტიკა უნდა ჰქონოდა, 43% კი ისეთ პრო-დასავლურ კურსს უჭერდა მხარს, რომელიც რუსეთთან ურთიერთობების შენარჩუნებასაც გულისხმობდა. მხოლოდ 7% ემხრობოდა ძირითადად ან მკვეთრად პრო-რუსულ კურსს (IRI 2023, 62). იმავე კვლევაში, რესპოდენტების 48% მხარს უჭერს „რუსეთში პირდაპირი ფრენების აღდგენას“, ხოლო 46% ამ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება (IRI 2023, 59). 2023 წლის მარტის მონაცემებით, ქართველების 29%-ს მიაჩნია, რომ რუსეთის მოქალაქეები რომლებიც საქართველოში უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ შემოვიდნენ, საქართველოში უნდა დარჩნენ. გამოკითხულთა უმეტესობა ამბობდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის (IRI 2023, 58). ეს მონაცემები უფრო მაღალი (39%) იყო 2022 წლის სექტემბერში (IRI 2023, 58).

იმავე პერიოდის კიდევ ერთი კვლევის მიხედვით, ქართველების 30% მიიჩნევს, რომ „საქართველომ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები უნდა შეინარჩუნოს ისე, როგორც ახლაა“ და 25% ფიქრობს, რომ ურთიერთობები უნდა გაღრმავდეს (NDI 2023, 57). 26% კი რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდვას ემხრობა (დიაგრამა 5) (NDI 2023, 57). საერთო ჯამში, ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობას კომპლექსური წარმოდგენა აქვს არამხოლოდ საქართველოს რუსეთზე ეკონომიკურად დამოკიდებულებაზე, არამედ რუსეთთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზეც. ერთი მხრივ, რუსეთი აღიქმება, როგორც ყველაზე დიდი ეკონომიკური საფრთხე, თუმცა ამასთან მოსახლეობის ნაწილი რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ დაახლოების გარკვეულ ასპექტებს პოზიტიური კუთხით აფასებს.[2] ეს წინააღმდეგობაში მოდის ექსპერტთა გამოკითხვის შედეგებთან, რომელიც რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას ყველაზე დიდი რისკის შემცველ საფრთხედ აფასებს. ამასთან, ექსპერტებისგან განსხვავებით, რომლებმაც „რუსეთთან დიდი სამხედრო დაპირისპირების რისკი“ გლობალური რისკების შკალაზე მნიშვნელოვნად შეაფასეს, მოსახლეობის 54% ფიქრობს, რომ ისინი საქართველოში უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ თავს „საქართველოს რუსეთთან ამჟამად არსებული ურთიერთობების გათვალისწინებით“ (IRI 2023, 52). იმავე კვლევაში, საქართველოს მოსახლეობის 53% სრულად ან ნაწილობრივ უჭერს მხარს „რუსეთთან დიალოგს“ (IRI 2023, 50).

დიაგრამა 5: NDI-ს 2023 წლის მარტის საზოგადოებრივი აზრის კვლევიდან. (NDI 2023, 57)

რუსეთთან საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებზე თუ ვისაუბრებთ, თქვენი აზრით: (q35)



2. რუსეთთან საქართველოს ამბივალენტურ დამოკიდებულებაზე იხილეთ: (Buzogány 2019)

საზოგადოებისა და ექსპერტების მოსაზრებებს შორის განსხვავება კიდევ უფრო დიდია, როდესაც საქმე ლოკალური რისკების შეფასებას ეხება. მაშინ, როდესაც ექსპერტები საქართველოს წინაშე მდგარ პოლიტიკურ რისკებს უფრო მწვავედ აფასებენ, საზოგადოება სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევებით მეტადაა დაინტერესებული. კითხვაზე „რა არის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და მომავლისთვის“ სამ პასუხს შორის ორი ყველაზე ხშირად გაცემული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა (დიაგრამა 6). პოლიტიკური საკითხები, როგორიცაა „ადამიანის უფლებები“, „კორუფცია“, „პრობლემები სასამართლო სისტემაში“ და „მედიის თავისუფლება“, ცხრილის მხოლოდ მეორე ნაწილში ჩნდება. ეს პრაქტიკულად იმის საპირისპიროა, რასაც გამოკითხული ექსპერტები ფიქრობენ. გამოკითხვის სხვა მონაცემები ამ წარმოდგენას ამყარებს.

დიაგრამა 6: IRI-ს 2023 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევა: ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევები საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და მომავლისთვის (IRI 2023, 11)

თქვენი აზრით რა არის საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და მომავლის სამი ყველაზე დიდი გამოწვევა?
(სპონტანური პასუხი, ნებადართულია სამამდე პასუხი)



სტრატეგიული დოკუმენტები და სახელმწიფო ნარატივები

რისკის შეფასების მესამე მიმართულება სტრატეგიული დოკუმენტებისა და სახელმწიფოს ოფიციალური ნარატივების მიმოხილვაა.[3] ამ მიზნით ჩვენ არაერთი ძირითადი დოკუმენტი შევაფასეთ, სადაც ნახსენები იყო გლობალური და დიფუზიური რისკები. ჩვენ ასევე შევისწავლეთ ოფიციალური განცხადებები, ინტერვიუები და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების სიტყვით გამოსვლები. საქართველოს რამდენიმე სტრატეგიული დონის დოკუმენტი აქვს, რომელიც ფოკუსირებულია პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებაზე, მათ შორის კიბერ უსაფრთხოება, ორგანიზებული დანაშაული, ქბრბ იარაღის გავრცელება, ფულის გათეთრება, თავდაცვა, უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა. საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ბოლოს 2012 წელს განახლდა, წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოების წინაშე მდგარ „საფრთხეებს, რისკებს და გამოწვევებს“ (MFA Georgia 2012). სია მოიცავს 12 რისკს, რომელთა დიდი ნაწილი გლობალურია:

- რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტები
- რუსეთის მხრიდან განახლებული სამხედრო აგრესიის რისკი
- იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა უფლებების დარღვევა
- კონფლიქტები კავკასიის რეგიონში
- საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული
- ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები
- ენერგეტიკული გამოწვევები
- კიბერ საფრთხეები
- გარემოსთან დაკავშირებული გამოწვევები
- დემოგრაფიული გამოწვევები
- სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება ან განადგურება (MFA Georgia 2012)

ამასთან, არსებობს სექტორული სტრატეგიული დოკუმენტები, სადაც წარმოდგენილია რისკების შეფასება მოცემულ პოლიტიკის სფეროში. ეს მოიცავს კიბერ უსაფრთხოების რისკებს - როგორიცაა კიბერ ომი, კიბერ შპიონაჟი, ინფორმაციული ომი, სახელმწიფოების მხრიდან ორგანიზებული კიბერ შეტევები და კიბერ დანაშაული - (the National Cybersecurity Strategy of Georgia)(Ministry of Defence of Georgia 2021, 2021–24), ორგანიზებული და ტრანსნაციონალური დანაშაული (the National Strategy for Combating Organized Crime),(Ministry of Internal Affairs 2021) და ქბრბ რისკები (The CBRN Threat Reduction

3. ამ დოკუმენტის მნიშვნელოვანი შეზღუდვა ისაა, რომ ახლახან შემუშავებული საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი დახურული დოკუმენტია და ამდენად, ანალიზში არ არის გათვალისწინებული.

National Strategy),(Government of Georgia 2021). 2022 წელს, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა კიდევ ერთი ყოვლისმომცველი დოკუმენტი: „ხედვა 2030 -საქართველოს განვითარების სტრატეგია“. დოკუმენტი მიმოიხილავს ძირითად გამოწვევებსა და შესაძლებლობებს პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებში (Government of Georgia 2023). მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი აღწერს არაერთ რისკს და საფრთხეს სხვადასხვა სექტორული პოლიტიკის სფეროში, შესავალში ყურადღება გამახვილებულია „რუსეთის სამხედრო აგრესიაზე უკრაინის წინააღმდეგ“. დოკუმენტი მას ახასიათებს, როგორც „საერთაშორისო წესრიგის შეცვლის მცდელობებს, როგორც კონვენციური, ისე ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით“, რაც „განსაკუთრებულ გამოწვევას“ წარმოადგენს და მსოფლიო უსაფრთხოებას „უფრო კომპლექსურს, ცვალებადსა და მყიფეს ხდის“ (Government of Georgia 2023, 11).

რაც შეეხება გლობალურ და დიფუზიურ რისკებს, რუსეთი მთელს დოკუმენტში დომინირებს. რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და მიმდინარე სამხედრო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ შავი ზღვის რეგიონსა და ევროპაში მოწყვლადი უსაფრთხოების გარემოსთვის ძირითად რისკად აღიქმება (Government of Georgia 2023). „რუსეთის ფედერაციის აგრესიული ქმედებები მისი მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ“ საქართველოს ნატოში საბოლოო ინტეგრაციის თაობაზე ალიანსის გადაუწყვეტელობის პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება (Government of Georgia 2023, 14). საინტერესოა, რომ როდესაც რუსეთი ცხადად განიხილება საქართველოსთვის ყველაზე დიდ უსაფრთხოების რისკად, დოკუმენტი ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ეკონომიკურ, სავაჭრო და სხვა განზომილებებზე (Government of Georgia 2023), რაც შესაბამისობაში მოდის საქართველოს მთავრობის პოლიტიკის კურსთან გააძლიეროს ეკონომიკური და ხალხთაშორის ურთიერთობები რუსეთთან, მასთან დაკავშირებული პოლიტიკური და უსაფრთხოების რისკების მიუხედავად.

იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვანია სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი სახელმწიფო პოლიტიკის მთლიანი სურათის დასანახად, ასევე აუცილებელია შევხედოთ როგორ მესიჯებს აჟღერებენ სახელმწიფო მოხელეები მოსახლეობასთან კომუნი-კაციისას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში, სადაც პრაქტიკული პოლიტიკის კუთხით, საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ოფიციალურ დოკუმენტებში გაწერილი პოლიტიკისგან გარკვეულწილად განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა რუსეთი კვლავ განიხილებოდეს როგორც ყველაზე დიდი საფრთხე, მთავრობა როგორც ჩანს რუსეთის ინტერესების დასაკმაყოფილებლად, რუსეთის დაშოშმინების (bandwagoning) სტრატეგიას ირჩევს, ნაცვლად იმისა რომ რესურსების მობილიზებას ახდენდეს რუსეთის ძალის დასაბალანსებლად.[4] ეს შესაძლოა იმ რწმენას ეფუძნება, რომ საქართველო რუსეთის საფრთხის წინაშე პირისპირ დგას და რომ ქვეყანას მთავარი გლობალური აქტორების მხრიდან არ აქვს არანაირი უსაფრთხოების გარანტიები სამხედრო ესკალაციის შემთხვევაში. კიდევ ერთი მოტივაცია შესაძლოა რეჟიმის უსაფრთხოება იყოს და იმის რწმენა, რომ ავტორიტარულ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობები მთავრობას დემოკრატიზაციაზე იმ საერთაშორისო წნეხისგან დაიცავს, რამაც შესაძლოა მისი ძალაუფლება შეარყიოს.

---

4. დაბალანსებისა და მიერთების (bandwagoning) ანალიტიკური ცნებებისთვის იხილეთ: (Walt 1990; Waltz 2010); დაბალანსებისა და მიერთების (bandwagoning) შესახებ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კონტექსტში, იხილეთ: (Lebanidze and Kakachia 2023; Gvalia, Lebanidze, and Siroky 2019)

მოტივაციის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა ლოიალური რჩება თავისი „პრაგმატული საგარეო პოლიტიკის“ ხედვის მიმართ (Agenda.ge 2023), რომელიც ეკონომიკურ ზრდაზე და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზეა ფოკუსირებული. ამ პოლიტიკის ნაწილს რუსეთთან ეკონომიკურ დაახლოება წარმოადგენს. მაგალითად, 2023 წლის გაზაფხულზე, საქართველოს მთავრობა მიესალმა რუსეთის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული სავიზო რეგულაციების გაუქმებას და საქართველოში პირდაპირი ფრენების დანიშვნას. ამასთან, საერთაშორისო სანქციების შესრულების მიუხედავად, მთავრობის წარმომადგენლები უარს ამბობენ რუსეთზე ორმხრივი სანქციების დაწესებაზე, რასაც შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკაზე (Civil.ge 2023a).

რისკებს მართვა

საზოგადოების ერთიანი მიდგომა ძირითადი რისკების იდენტიფიცირებისა და შემცირებისთვის

ძირითადი აქტორების (საექსპერტო წრე, მოსახლეობა, მთავრობა) ძირითადი რისკების აღქმის სკრინინგი და ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. ეს შესაძლოა პრობლემური იყოს, რადგან არსებობს ალბათობა, რომ ეს საზოგადოებას ქვეყნის წინაშე მდგარი ეგზისტენციალური რისკებისა და გამოწვევების შესახებ ერთიანი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში შეუშლის ხელს (ცხრილი 1). რუსეთის მიმართ მიდგომებში არსებული განსხვავებები სწორედ ამის დასტურია. საზოგადოებრივი პოლარიზაცია და პოლიტიკური რადიკალიზაცია ამ ტრენდს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს (Gegeshidze and De Waal 2021; Kakabadze and Lebanidze 2021).

საზოგადოების ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად საქართველომ უნდა გააძლიეროს ფსიქოლოგიური მედეგობა და ფსიქოლოგიური თავდაცვა. შვედეთის ფსიქოლოგიური თავდაცვის სააგენტო (Myndigheten för Psykologiskt Försvar–MPF) ფსიქოლოგიური მედეგობის კარგი მაგალითია (Christie and Berzina 2022). ფსიქოლოგიური თავდაცვის მაღალი დონე მოსახლეობას რისკის იდენტიფიცირებაში ეხმარება და აძლიერებს მედეგობას გლობალურ და დიფუზიურ რისკებზე საპასუხოდ. MPF-ის მიხედვით, ფსიქოლოგიური თავდაცვა აძლიერებს „მოსახლეობის უნარებს ამოიცნონ და წინააღმდეგობა გაუწიონ მავნე გავლენების კამპანიებსა და დეზინფორმაციას“ და ამდენად, ხელი შეუწყონ „მედეგობისა და ქვეყნის თავდაცვის მზადყოფნის ჩამოყალიბებას“ (Myndigheten för Psykologiskt Försvar 2023). გლობალურ, დიფუზიურ და ლოკალურ რისკებზე საპასუხოდ ფსიქოლოგიური მედეგობის გაძლიერება საზოგადოების ერთიან მიდგომას საჭიროებს. საზოგადოების ერთიანი მიდგომა:

> **„ხაზს უსვამს სამთავრობო დონეზე კოორდინაციას, ძლიერ კავშირებს მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის, სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობას, ასევე მუდმივ მომზადებას, წვრთნებს, სწავლებებსა და განათლებას“ (Wigell, Mikkola, and Juntunen 2021, 4).**

მსგავსი მიდგომა ფართოდ იქნა დანერგილი შვედეთში, ფინეთში და ავსტრალიაში (Wigell, Mikkola, and Juntunen 2021). საზოგადოების ერთიანი მიდგომა „საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნდობის“ მაღალ ხარისხს, „დემოკრატიული ჩართულობის კულტურას“ და „კრიტიკულ მედია წიგნიერებას“ მოითხოვს (Wigell, Mikkola, and Juntunen 2021, 2).

საქართველოს კონტექსტში, საზოგადოების ერთიანი მიდგომის ეფექტურობისთვის, საქართველოს მთავრობამ მომავალი რისკებისა და კრიზისების თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად რისკების განსაზღვრის, პროგნოზირებისა და მედეგობის მიდგომის შემუშავების პროცესში ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ბიზნეს აქტორები უნდა ჩართოს. ეს უნდა იყოს ინკლუზიური და გამჭვირვალე პროცესი. შედეგად, ყველა აქტორი უნდა შეთანხმდეს რა არის ძირითადი გამოწვევები და როგორ შეიძლება მათთან გამკლავება. ბიზნეს აქტორი არამხოლოდ ამ პროცესში უნდა იყვნენ ჩართულნი, არამედ ინაწილებდნენ სახელმწიფო სერვისებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას. კრიზისისა და ომის დროს პოლიტიკურმა აქტორებმა მხარი უნდა დაუჭირონ სახელმწიფოს წარმომადგენლებს. და ბოლოს, სამოქალაქო საზოგადოება და მოსახლეობა აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული და ინფორმირებული, რაც მათ როგორც რესურსად, ისე მედეგობის შექმნის პროცესის ბენეფიციარად აქცევს.

ცხრილი 1: გლობალური, დიფუზიური და ლოკალური რისკების ჰიოერარქიზაცია ძირითადი აქტორების მიხედვით

	გლობალური და დიფუზიური რისკები	**ადგილობრივი რისკები**
საექსპერტო წრე	**რუსეთი** *[ეკონომიკური დამოკიდებულება, ჰიბრიდული ომი რუსეთთან, რუსეთიდან მიგრანტების შემოდინება]*	**პოლიტიკური რისკები** *[ოლიგარქია, სახელმწიფოს მიტაცება, ცუდი მმართველობა, ავტორიტარიზმი]*
მოსახლეობა	**რუსეთი მნიშვნელოვანი მსაზღვრელებით** *[ნაწილობრივ მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირების და დიალოგის არსებობა]*	**სოციალურ-ეკონომიკური რისკები** *[სიღარიბე, უმუშევრობა]*
მთავრობა	**რუსეთთან ომში ჩათრევის რისკი** *[გლობალური გეოპოლიტიკური დაპირისპირება]*	**პოლიტიკური რისკები** *[ხელიმის უსაფრთხოება; ხელიმის ოპონენტები]*

რუსეთთან უთანხმობების რისკების შემცირება

ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკასა და რუსეთს შორის მზარდი დამოკიდებულება განსაკუთრებით ცხადი გახდა, რაც როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური გავლენების კომპლექსურ დინამიკაზე მიუთითებს. ასეთმა მზარდმა დამოკიდებულებამ მასთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებსა და შედეგებზე დისკუსიების დაწყებას შეუწყო ხელი. ამ პროცესმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს ეკონომიკურ ტრაექტორიასა და პოლიტიკურ ავტონომიურობაზე ამ დინამიკის გავლენის ყოვლისმომცველი ანალიზის აუცილებლობას.

ექსპერტთა გამოკითხვების, საზოგადოებრივი აზრის კვლევებისა და სტრატეგიული დოკუმენტების მიხედვით, რუსეთი ყველაზე მნიშვნელოვანი გლობალური რისკია. თუკი პოლიტიკური ექსპერტები უფრო მეტად რადიკალურ ანტი-რუსულ განწყობებს ავლენენ, რუსეთის მიმართ აღქმები უფრო კომპლექსურია მოსახლეობასა და მთავრობას შორის. საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები რუსეთს ქვეყნისთვის ყველაზე დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფრთხედ აღიქვამენ, რუსეთთან ეკონომიკურ კავშირები და პოლიტიკური დიალოგი მათ საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფაქტორებად ესახებათ. სახელმწიფო მოხელეები კიდევ უფრო შორს მიდიან და რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებს საქართველოს ბოლო დროინდელი ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალად, ხოლო რუსეთთან პოლიტიკური კავშირების დალაგებას - საქართველოში მშვიდობის წინაპირობად წარმოაჩენენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის რუსეთის მიმართ დამთმობი პოლიტიკა წინააღმდეგობრივი და პოლარიზაციის გამომწვევია, მართალია ისიც, რომ საქართველო, როგორც რუსეთის მეზობელი პატარა ქვეყანა, ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობებს სრულად ვერ აარიდებს თავს. ამის მიუხედავად, გასათვალისწინებელია მომავალში ამ პოლიტიკის შესაძლო საფასური, ვინაიდან რუსეთზე მცირედი დამოკიდებულებაც კი რუსეთის ხელში გეოპოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტად სწრაფად იქცევა.

რუსეთის გავლენას საქართველოში პირდაპირ და ირიბად შეუძლია საქართველოს ეროვნული მედეგობის მორყევა სხვადასხვა მიმართულებით (დიაგრამა 7). რუსეთის შეუჩერებელ გავლენას მოსახლეობაში სოციალური ნდობის, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ პოლიტიკური ნდობის დაზიანების პოტენციალი აქვს. რუსეთთან გაძლიერებული კავშირები და დასავლეთთან მზარდი გაუცხოება ავტორიტარიზმისკენ სვლას და დემოკრატიული რეფორმების შეჩერებას გამოიწვევს. რუსეთის გაზრდილმა ეკონომიკურმა აქტიურობამ შესაძლოა კერძო-საჯარო პარტნიორობის პროცესს შეუშალოს ხელი და საფრთხე შეუქმნას კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და საკომუნიკაციო ქსელების გამართულ მუშაობს კრიზისულ პერიოდში. რუსი მიგრანტების შემოდინებამ შესაძლოა გაზარდოს უსაფრთხოების რისკები, მათ შორის საბოტაჟის რისკები, უსაფრთხოების აგენტების შემოდინება, კრიმინალი, კორუფცია, და რუსული პროპაგანდის და რბილი ძალის გაძლიერება (Kakachia and Kandelaki 2022). და ბოლოს, გაზრდილმა რუსულმა გავლენამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს მეტი არასტაბილურობა, პოლარიზაცია და პოლიტიკური რადიკალიზაცია რადგან არც პოლიტიკურ აქტორებსა და არც საზოგადოებას არ აქვს ერთიანი ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა დოზით არის სასურველი/მისაღები რუსული ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობა საქართველოში.

დიაგრამა 7: საქართველოში მედეგობის გაძლიერების ოთხი მიმართულება (Kakachia, Lebanidze, and Kandelaki 2022, 14)

ამდენად, იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ ეს რისკები, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს რისკების შემცირების ყოვლისმომცველი სტრატეგია რუსეთის მიმართ. რისკის შემცირება შესაძლოა კარგი კომპრომისი აღმოჩნდეს რუსეთთან სრულად გაუცხოებასა და რუსეთზე ზედმეტად დამოკიდებულებას შორის. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კონტექსტში რისკის შემცირების სტრატეგია შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ თუკი საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და ბიზნეს აქტორებს შეუძლიათ და სურთ რუსეთთან ურთიერთობების შენარჩუნება, მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა მოახდინოს ეროვნული უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირება და განსაზღვროს ამ ურთიერთობების პარამეტრები და ჩარჩოები (Spillner 2023). ამ პერსპექტივიდან, საქართველოს რისკის შემცირების სტრატეგია რუსეთის მიმართ ორი კომპონენტისგან უნდა შედგებოდეს. საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეყნის ურთიერთობები რუსეთთან ეკონომიკური, სავაჭრო, საინვესტიციო და ტურისტული მიმართულებით არ ზრდის ქვეყნის მოწყვლადობას მისი მეზობლის წინაშე. ამისათვის საქართველოს მთავრობამ უნდა შეამციროს რუსეთზე დამოკიდებულება რუსეთიდან კრიტიკული რესურსების იმპორტზე და მოახდინოს საქართველოს ბაზრის რუსეთისგან დივერსიფიცირება. ამასთან, ინვესტიციების სკრინინგის მექანიზმებმა არ უნდა დაუშვას სტრატეგიული და კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და ქონების რუსული კომპანიების ხელში ჩაგდება. მეორე, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან საერთაშორისო სანქციების რეჟიმში რჩება და საფრთხეს არ უქმნის ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესს.

დასკვნა

წარმოდგენილმა პოლიტიკის დოკუმენტმა სცადა წარმოეჩინა ექსპერტული წრეების და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების ხედვა საქართველოს წინაშე მდგარი გლობალური, დიფუზიური და ლოკალური რისკების შესახებ და შეედარებინა ის მთავრობისა და მოსახლეობის აღქმებთან. ეს მნიშვნელოვანი პროცესია და გვეხმარება განვსაზღვროთ, აქვთ თუ არა მთავარ აქტორებს საქართველოში ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე საერთო წარმოდგენები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა ისეთ რეგიონშია, სადაც ე.წ. „პოლიკრიზისი“ ვითარდება: ომები კავკასიაში, შავ ზღვაში და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში; დაძაბული გეოპოლიტიკური კონკურენცია დასავლეთსა და რუსეთს შორის; კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბუნებრივი საფრთხეების სიხშირის ზრდა; მოახლოებული გლობალური ეკონომიკური რეცესია და ფინანსური კრიზისი. შესაბამისად, საქართველოს მსგავსი მცირე ქვეყნებისთვის ამ რთულ პერიოდში ნავიგაციისთვის მნიშვნელოვანია რისკების შემცირების ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და მედეგობის გაძლიერების მიდგომის შემუშავება.

ექსპერტთა გამოკითხვის შედეგების მოსახლეობისა და მთავრობის წარმოდგენებთან შედარებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე რამდენიმე დასკვნის გამოტანა შეგვიძლია.

პირველი, მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური გამოწვევების პერიოდში, საქართველოს არ აქვს ე.წ. ფსიქოლოგიური მედეგობა. სხვადასხვა აქტორებს ქვეყანაში - მათ შორის მოსახლეობას, ხელისუფლებასა და ექსპერტულ წრეებს განსხვავებული წარმოდგენები აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის მთავარი ლოკალური და გლობალური რისკი საქართველოსთვის. ნაწილობრივ ეს საზოგადოებისა და მედიის პოლარიზაციის, ხოლო ნაწილობრივ პარტიების რადიკალიზაციის შედეგია. ამის დასაძლევად ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს საზოგადოების ერთიანი მიდგომა, რომელიც მთავრობის გარდა საზოგადოებასაც დააკისრებს პასუხისმგებლობას რისკების სკრინინგის, პროგნოზირებისა და მედეგობის გაზრდის პროცესში.

მეორე, გასაკვირი არაა, რომ რუსეთი ნაშრომში გააანალიზებული აქტორების სამივე ჯგუფის მიერ უმთავრეს გლობალურ რისკად შეფასდა. თუმცა მათი აღქმები განსხვავდება, როდესაც საქმე დეტალებს ეხება. საქართველოს მთავრობა და მათი მხარდამჭერები, რუსეთისგან მომდინარე საფრთხის აღიარების მიუხედავად, საქართველოს ურთიერთობებს ჩრდილოელ მეზობელთან პრაგმატული კუთხით უყურებენ და რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური და ხალხთაშორისი კავშირების გაძლიერებას ემხრობიან. საქართველოს პოლიტიკურ საექსპერტო წრეს რუსეთზე ნაკლებად არაერთგვაროვანი წარმოდგენა აქვს და მასთან ურთიერთობის ყველა ასპექტს დიდი სკეპტიციზმით უდგება. საქართველოს მოსახლეობა ამ ორ პოლუსს შორისაა მოქცეული. საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა კრემლს ყველაზე მწვავე პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფრთხედ აღიქვამს, თუმცა, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთთან ეკონომიკურ კავშირებსა და რუსეთიდან მიგრანტების შემოდინებაში გარკვეულ სარგებელს ხედავს. ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმისა, თუ რატომ არის ამ ეტაპზე

პოლიტიკის დოკუმენტში რუსეთთან კავშირების სრული გაწყვეტა არარეალისტურ სცენარად წარმოდგენილი. ამის ნაცვლად, რუსეთისგან მომავალი რისკების შემცირება ქვეყანაში ყველა მთავარი აქტორისთვის, მათ შორის მოსახლეობისთვის, მთავრობისთვისა და პოლიტიკური წრეებისთვის უფრო რეალისტური და სასურველი არჩევანია.

მესამე, მნიშვნელოვანი განსხვავებებია ადგილობრივი რისკების აღქმაშიც. ექსპერტთა გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტები პოლიტიკურ რისკებს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ეკონომიკურს. ამასთან, მთავრობის ნარატივიც რეჟიმის უსაფრთხოებაზე და მათი პერსპექტივიდან დანახულ პოლიტიკურ რისკებზე ამახვილებს ყურადღებას (რომელიც მათი წარმოდგენით ოპონენტების მხრიდან მოდის, რომლებიც ქვეყნის სტაბილურობას არყევენ). მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევისთვის პოლიტიკური ოპოზიცია არ გამოგვიკითხავს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყურადღებას ისინიც პოლიტიკურ რისკებზე გაამახვილებენ. მეორე მხრივ, საზოგადოებრივი აზრის კვლევები აჩვენებს, რომ მოსახლეობისთვის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები ცალსახად უფრო პრიორიტეტულია. მსგავსი შეუსაბამობები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საზოგადოების ერთიანი მიდგომის დანერგვით, ქვეყნის ეგზისტენციალურ საფრთხეებზე წარმოდ-გენებს შორის განსხვავებების აღმოფხვრის საჭიროებას.

ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლიათ ძირითად აქტორებს საქართველოში, მათ შორის მთავრობას, საზოგადოებას და საქართველოს საერთა-შორისო პარტნიორებს ერთობლივი ძალისხმევით მხარი დაუჭირონ საქართველოს მედეგობის გაძლიერებას, რისკების სკრინინგს, მათ პრიორიტეტიზაციას და შემცირების პროცესს.

რეკომენდაციები

საზოგადოების ერთიანი მიდგომის დანერგვა

1

მოხდეს ძირითად აქტორებს (მათ შორის საექსპერტო წრეები, მოსახლეობა და მთავრობა) შორის ღია დისკუსიებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა და წახალისება, რისკების აღქმებს შორის არსებული სხვაობების შესამცირებლად და ქვეყნის ეგზისტენციალური რისკებისა და გამოწვევების წინააღმდეგ საერთო წარმოდგენების შესაქმნელად.

2

მოხდეს ისეთი წარმატებული საერთაშორისო მაგალითების შესწავლა, როგორიცაა შვედეთის ფსიქოლოგიური თავდაცვის სააგენტო (MPF) და ადგილობრივ კონტექსტსა და საჭიროებებზე მორგებული მსგავსი ფორმატის საქართველოში დანერგვა. ფსიქოლოგიური თავდაცვა ხელს უწყობს მოსახლეობაში რისკების სკრინინგის შესაძლებლობების გაუმჯობესებას და მედეგობის გაზრდას ლოკალურ, გლობალურ და დიფუზიურ რისკებზე საპასუხოდ.

3

რისკების განსაზღვრის, შეფასებისა და შემცირების სტრატეგიების განვითარების პროცესში მოხდეს ქვეყნის ყველა ძირითადი აქტორის და ჯგუფის ჩართვა განსხვავებული პოზიციებისა და პერსპექტივების გასაგებად და გასათვალისწინებლად. ამან შესაძლოა ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნდობის გაძლიერებას და არსებული პოლარიზაციის შემცირებას.

4

ფინეთის ეროვნული თავდაცვის კურსების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, მოხდეს რისკების ცნობადობის და მედეგობის გაძლიერების სწავლებების, ტრენინგების და ვორქშოპების შემუშავება აქტორების ფართო წრისთვის, მათ შორის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, რელიგიური ორგანიზაციებისთვის, ახალგაზრდული ჯგუფებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისთვის.

5

კერძო-საჯარო პარტნიორობის წახალისება რისკების სკანირების და მედეგობის გაძლიერების პროცესში. ინსტიტუციური გაძლიერების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა, რომელიც ფოკუსირებული იქნება კერძო-საჯარო პარტნიორობაზე (მაგალითად, ფინეთის უსაფრთხოების კომიტეტი და კერძო-საჯარო თანამშრომლობის სხვა მექანიზმები).

6

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა მმართველობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებით, საჯარო პირების ანგარიშვალდებულების მოთხოვნით და ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის მექანიზმების შექმნით. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა ხელს შეუწყობს ნდობის მოპოვებას და დემოკრატიული ჩართულობის გაძლიერებას რისკების სკრინინგის და მათი მართვის პროცესში, რაც მედეგობის მნიშვნელოვანი ასპექტებია.

7

საზოგადოებაში მედია და ციფრული წიგნიერების ხელშეწყობა და მოსახლეობის დახმარება იმისათვის, რომ მათ შეძლონ ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება და სანდო წყაროებისა და დიზინფორმაციის ერთმანეთისგან განსხვავება, და ამით საზოგადოების ფსიქოლოგიური მედეგობის გაძლიერება.

8

ისეთ საერთო ღირებულებებსა და მიზნებზე ფოკუსირება, რომელიც სცდება პოლიტიკურ განსხვავებებს და აერთიანებს საზოგადოებას, მაგალითად ეკონომიკური განვითარება, სოციალური კეთილდღეობა, ან ეროვნული უსაფრთხოება. საერთო ღირებულებებსა და მიზნებზე ფოკუსირება ხელს შეუწყობს ნდობის დამყარებას, სხვადასხვა აქტორების წარმოდგენებს შორის განსხვავებების შემცირებას, და რისკების პრიორიტეტიზაციასა და მათი შემცირების სტრატეგიებზე მუშაობის პროცესში კონსესუსის მიღწევას.

რუსეთიდან მომდინარე რისკის შემცირება

1

მოხდეს მნიშვნელოვანი საქონლის რუსეთიდან იმპორტის დივერსიფიცირება რუსულ იმპორტზე ზედმეტად დამოკიდებულებისგან თავიდან ასაცილებლად.

2

რუსეთში ექსპორტირებული ძირითადი პროდუქტის ექსპორტის დივერსიფიცირება რუსეთის საექსპორტო ბაზარზე ზედმეტი დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად.

3

სტრატეგიული რეზერვების სააგენტოს შექმნა კრიტიკული პროდუქტების სტრატეგიული მარაგების შესაქმნელად იმისათვის, რომ ქვეყნა არ გახდეს მოწყვლადი რუსეთის ეკონომიკურ წნეხის მიმართ. ამის მოდელირება შესაძლოა მოხდეს არსებული საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, ისეთით, როგორიცაა ფინეთის საგანგებო მარაგების ეროვნული სააგენტო (Nesa).

4

ინვესტიციების სკრინინგის მექანიზმების შემუშავება რუსული (და ჩინური) კომპანიების მხრიდან კრიტიკული ინფრასტრუქტურის ხელში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად.

5

რუსეთთან ეკონომიკური კავშირების დამყარებისას საერთაშორისო სანქციების რეჟიმის აღსრულება და ურთიერთობების იმგვარად წარმართვა, რომ საფრთხე არ შეექმნას საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესსა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივას.

6

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა მიმართულებით რუსეთის ჩართულობის საფრთხეებთან დაკავშირებით (უსაფრთხოების რისკები, ეკონომიკური რისკები, კულტურული რისკები).

7

ყველა მნიშვნელოვანიაქტორის - განსაკუთრებით მათი, რომლებიც შესაძლოა დაექვემ- დებარონ რუსეთის მავნე გავლენას (მაგალითად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია) - რისკების იდენტიფი-ცირების და რუსეთის მიმართ რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართვა.

8

დასავლელ პარტნიორებთან რუსეთის მიმართ საქართველოს მოწყვლადობის შესახებ კომუნიკაცია გაუგებრობებისა და საქართველოს ევრო-ატლან-ტიკური ინტეგრაციის პერსპექტივის დისკრედიტაციის თავიდან ასაცილებლად.

ბიბლიოგრაფია

Agenda.ge. 2023. "PM Says 'Thanks to Govt's Pragmatic Foreign Policy', Georgia Has Double-Digit Economic Growth." ხელმისაწვდომია: https://agenda.ge/en/news/2023/3500.

Buzogány, Aron. 2019. "Europe, Russia, or Both? Popular Perspectives on Overlapping Regionalism in the Southern Caucasus." East European Politics 35 (1): 93–109. ხელმისაწვდომია: https://doi.org/10.1080/21599165.2019.1588117.

Chandler, David. 2014. Resilience: The Governance of Complexity. Routledge.

Christie, Edward Hunter, and Kristine Berzina. 2022. "NATO and Societal Resilience: All Hands on Deck in an Age of War."

Civil.ge. 2023a. "GD Chair Kobakhidze: We Can't and We Won't Impose Sanctions on Russia. Our Position Is Clear." ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/541818.

Civil.ge. 2023b. "'This Is Positive and Welcome'-PM on Restoration of Visa-Free Travel and Flights to Russia." May 11, 2023. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/542018.

Cocron, Alexander, and Aronhime Lawrence. 2022. "Risk, Uncertainty and Innovation." NATO Review, April. ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/docu/review/articles/2022/04/14/risk-uncertainty-and-innovation/index.html.

Gegeshidze, Archil, and De Waal, Thomas. 2021. "Divided Georgia: A Hostage to Polarization."

Government of Georgia. 2021. "The CBRN Threat Reduction National Strategy."

Government of Georgia. 2023. "The Vision 2030 – Development Strategy of Georgia." ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/wp-content/uploads/2023/05/Strategy-2030-ENG-WEB2d.pdf.

Gvalia, Giorgi, Lebanidze; Bidzina, and Siroky, David. 2019. "Neoclassical Realism and Small States: Systemic Constraints and Domestic Filters in Georgia's Foreign Policy." East European Politics 35 (1).

IRI. 2023. "National Public Opinion Survey of Residents of Georgia | March 2023." ხელმისაწვდომია: https://www.iri.org/resources/national-public-opinion-survey-of-residents-of-georgia-march-2023/.

Kakabadze, Shota, and Lebanidze, Bidzina. 2021. "Stakeholders of (De-) Radicalisation in Georgia." D3.1 Country Report.

Kakachia, Kornely, and Kandelaki, Salome. 2022. "The Russian Migration to Georgia: Threats or Opportunities?" ხელმისაწვდომია: https://www.ponarseurasia.org/the-russian-migration-to-georgia-threats-or-opportunities/.

Kakachia, Kornely, and Lebanidze, Bidzina. 2020. "D3.5 Final Report Formulating Policy-Oriented Insights on Global and Diffuse Threats and Their Effects." EU-LISTCO Report.

Kakachia, Kornely, Lebanidze, Bidzina and Kandelaki, Salome. 2022. "National Resilience Strategy For Georgia: Lessons From NATO, EU and Beyond." Policy Paper 33. Tbilisi: Georgian Institute of Politics. ხელმისაწვდომია: https://gip.ge/publication-post/national-resilience-strategy-for-georgia-lessons-from-nato-eu-and-beyond/.

Lebanidze, Bidzina, and Kakachia, Kornely. 2023. “Bandwagoning by Stealth? Explaining Georgia’s Appeasement Policy on Russia.” European Security, 1–20.

Magen, Amichai, and Daphné Richemond-Barak. 2021. “Anticipating Global and Diffuse Risks to Prevent Conflict and Governance Breakdown: Lessons from the EU’s Southern Neighbour hood.” Democratization 28 (7): 1239–60.

Magen, Amichai, Daphné Richemond-Barak, and Moran Stav. 2019. “D3.2 Report Mapping and Eval uating Global and Diffuse Threats.”

EU-Listco. 2021. “Taking Global and Diffuse Risks Seriously. A Risk-Clusters Typology.” EU-LISTCO Working Paper No. 8. ხელმისაწვდომია: Https://Www.Eu-Listco.Net/.

MFA Georgia. 2012. “National Security Concept of Georgia.” ხელმისაწვდომია: https://mfa.gov.ge/en/national-security-concept.

Ministry of Defence of Georgia. 2021. “Cyber Security Strategy of the Ministry of Defence of Georgia 2021-2024.” ხელმისაწვდომია:https://mod.gov.ge/uploads/Cyber_Security/Cy ber_Security_Strategy_of_the_Ministry_of_Defence_of_Geor gia_2021-2024%E2%80%9C.pdf.

Ministry of Internal Affairs. 2021. “National Strategy for Combating Organized Crime.”

Myndigheten för Psykologiskt Försvar. 2023. “Our Mission.”ხელმისაწვდომია: https://www.mpf.se/en/mission/.

NATO. 2022. “Resilience, Civil Preparedness and Article 3.” “Taking Georgians’ Pulse. Findings from March 2023 Telephone Survey.” ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/publications/n di-poll-georgian-citizens-remain-steadfast-their-stated-aim-european- and-euro-atlantic.

Spillner, Ole. 2023. “China ‘De-Risking’. A Long Way from Political Statements to Corporate Action.” DGAP Policy Brief 16. ხელმისაწვდომია: https://dgap.org/en/research/publica tions/china-de-risking.

Walt, Stephen M. 1990. The Origins of Alliance. Cornell University Press.

Waltz, Kenneth N. 2010. Theory of International Politics. Waveland Press.

Wigell, Mikael, Harri Mikkola, and Tapio Juntunen. 2021. “Best Practices in the Whole-of-Society Approach in Countering Hybrid Threats.” European Parliament.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

საქართველო, თბილისი 0107,
ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13
+995 599 99 02 12
info@gip.ge www.gip.ge